

**მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე**

მე, [მიუთითეთ სახელი და გვარი], ინფორმირებული ვარ, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მიერ დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის დებულებით“ (შემდგომში - „დებულება“) დადგენილი მიზნებისათვის, ჩემი განაცხადის განხილვისა და ლეგიტიმური ინტერესის, დებულების საფუძველზე, ჩემი, როგორც მონაცემთა სუბიექტის, პერსონალური მონაცემების, კერძოდ, დებულებით განსაზღვრული ინფორმაციის, უნივერსიტეტის მიერ დამუშავების თაობაზე.

ინფორმირებული ვარ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მონიჭებულ უფლებებზე, კერძოდ:

- მივიღო ინფორმაცია ჩემი მონაცემების დამუშავების შესახებ;
- გავცნო და მივიღო ასლები ჩემი მონაცემების შესახებ;
- ჩემ შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების თაობაზე მოვითხოვო გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოვითხოვო მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
- მოვითხოვო მონაცემების დაბლოკვა;
- მოვითხოვო მონაცემების გადატანა;
- გამოვითხოვო თანხმობა;
- ვისარგებლო გასაჩივრების უფლებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შეთხვევაში;

ინფორმირებული ვარ, ჩემი პერსონალურ მონაცემების დამუშავებისას უნივერსიტეტი მონაცემთა უსაფრთხოებისას უზრუნველყოფილს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, ხოლო ჩემი მონაცემების შენახვას განახორციელებს დებულების მიზნების შესაბამისად.

ინფორმირებული ვარ, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მივმართო, უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, მათ შორის, ელ.ფოსტაზე: [dpo@tsu.ge](mailto:dpo@tsu.ge) ; [meri.kapanadze@tsu.ge](mailto:meri.kapanadze@tsu.ge);

ხელმოწერით ვადასტურებ, წინამდებარე ინფორმირების განაცხადის გაცნობას ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

ხელმოწერა : \_\_\_\_\_. თარიღი: \_\_\_\_\_